04/03/2025

პატრიარქის მიმართვა შენდობის დღეს

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ შვილებს, – მკვიდრთა საქართველოისათა და საზღვარგარეთ მცხოვრებთ

მოწყალებითა ღმრთისაითა კვლავ დადგა დიდმარხვის წინადღე, დღე შენდობისა და ურთიერთ ცოდვათა მიტევებისა.

ხშირად გვიჭირს ამ ნაბიჯის გადადგმა, – სხვისთვის პატიების თხოვნა, ან წყენის დავიწყება, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მაგალითი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელიც ამქვეყნად მოვიდა ჩვენი ცხონებისათვის, აღასრულა მრავალი სასწაული (რომლებიც სრულად რომ აღეწერათ, ქვეყანაც ვერ დაიტევდაო დაწერილ წიგნებს,- ბრძანებს მოციქული), განკურნა ბრმანი, მკელობელნი, დავრდომილნი, კეთროვანნი, აღადგინა მკვდარნი... იმედი, ნუგეში, სიხარული მოჰფინა მრავალთ, მაგრამ სწორედ იგი მიიჩნიეს ბოროტის მსახურად და უმაღლესი და, ამავე დროს, დამამცირებელი სასჯელი, – ჯვარზე გაკვრა და სიკვდილი მიუსაჯეს.

და ამ დროსაც კი მაცხოვარი მამა ღმერთს ავედრებდა იმ ხალხს, რომელმაც გაწირა და არ დაიცვა იგი და სთხოვდა, ეპატიებინა მათთვის ეს ბოროტება და არ მოეხსენებინა უსჯულოებათნი მათნი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მსგავსი სულიერება არა გვაქვს, მაგრამ, ძალისამებრ, ჩვენისა

ასეთი ნაბიჯების გადადგმა ჩვენც გვმართებს თუ გვსურს, ქრისტიანებად ვიწოდებოდეთ, თუ გვსურს, მოჩვენებითად კი არ გვერქვას მორწმუნენი, არამედ რეალურად.

ღვთის გულისათვის, მოწყალენი ვიყოთ ერთმანეთის მიმართ, რათა ჩვენც შეგვიწყალოს უფალმა და მოგვიტეოს შეცოდებანი ჩვენნი.

მეც, მდაბალი ილია II, კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა, მუხლმოდრეკით გთხოვთ შენდობას ყველას, ვისაც გაწყენინეთ ნებსით თუ უნებლიედ, ვისი თხოვნაც ვერ გავითვალისწინე, ვისი ტკივილიც ვერ გავითავისე... შემინდეთ და მაპატიეთ ყოველი. შევთხოვ უფალს, მეოხებითა ყოველთა წმიდათა მისთათა, შემინდოს შეცოდებანი ჩემნი და მომმადლოს ძალა ღვთისა და თქვენი ერთგულებისა.

ასევე ვთხოვ ყოვლადმოწყალე იესო ქრისტეს, მეოხებითა ყოვლადწმინდისა დედისა ჩვენისა ღვთისმშობელისათა, შეგინდოთ შეცოდებანი თქვენნი ნებსითნი და უნებლიეთნი; აღმოფხვრას ჩვენგან განკითხვის სული, შური, მტრობა და ღვარძლი, ყოველი ბოროტი საქმე... და მოგვმადლოს გული გონიერი, გული წმინდა და სული წრფელი, რათა უფალმან ღირს გვყოს, დაემკვიდროს ჩვენთანა და ჭეშმარიტების გზით წარმართოს ცხოვრება ჩვენი.

ყოვლადწმინდა სამებამ მოგვანიჭოს მშვიდობა, მარხვა სინანულისა და აღდგომა სიხარულისა, ამინ!

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

02.03.2025



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA

1, Erekle II sq. Tbilisi 0105
Tel: (+995 32) 2 99 03 78
E-mail: patriarchateofgeorgia@gmail.com

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ შვილებს, - მკვიდრთა საქართველოისათა და საზღვარგარეთ მცხოვრებთ

მოწყალებითა ღმრთისათა კვლავ დადგა დიდმარხვის წინადღე, დღე შენდობისა და ურთიერთ ცოდვათა მიტევებისა.

ხშირად გვიჭირს ამ ნაბიჯის გადადგმა, - სხვისთვის პატიების თხოვნა, ან წყენის დავიწყება, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს მაცხოვრის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს, რომელიც ამქვეყნად მოვიდა ჩვენი ცხონებისათვის, აღასრულა მრავალი სასწაული (რომლებიც სრულად რომ აღეწერათ, ქვეყანაც ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს,- ბრძანებს მოციქული), განკურნა ბრმანი, მკელობელნი, დაგრდომილნი, კეთროვანნი, აღადგინა მკვდარნი... იქადაგა, ნუგეში, სიხარული მოჰფინა მრავალთ, მაგრამ სწორედ იგი მიიჩნიეს ბოროტის მსახურად და უმძიმესი და, ამავე დროს, დამამცირებელი სასჯელი, - ჯვარზე გაკვრა და სიკვდილი მიუსაჯეს.

და ამ დროსაც კი მაცხოვარი მამა ღმერთს ავედრებდა იმ ხალხს, რომელმაც გაწირა და არ დაიცვა იგი და სთხოვდა, პატიებინა მათთვის ეს ბოროტება და არ მოეხსენებინა უსჯულოებანი მათნი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მსგავსი სულიერება არა გვაქვს, მაგრამ, ძალისამებრ, ჩვენისა ასეთი ნაბიჯების გადადგმა ჩვენც გვმართებს თუ გვსურს, ქრისტიანებად ვიწოდებოდეთ, თუ გვსურს, ფორმალურად კი არ გვერქვას მორწმუნენი, არამედ რეალურად ღვთის გულისათვის, მოწყალენი ვიყოთ ერთმანეთის მიმართ, რათა ჩვენც შეგვიწყალოს უფალმა და მოგვიტევოს შეცოდებანი ჩვენნი.

მეც, მდაბალი ილია II, კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა, მუხლმოდრეკით გთხოვთ შენდობას ყველას, ვისაც გაწყენინეთ ნებსით თუ უნებლიედ, ვისი თხოვნაც ვერ გავითვალისწინე, ვისი ტკივილიც ვერ გავითავისე... შემინდეთ და მაპატიეთ ყველა. შევთხოვ უფალს, მეოხებითა ყოველთა წმიდათა მისთათა, შემინდოს შეცოდებანი ჩემნი და მომმადლოს ძალა ღვთისა და თქვენი ერთგულებისა.

ასევე ვთხოვ ყოვლადმოწყალე იესო ქრისტეს, მეოხებითა ყოვლადწმიდისა დედისა ჩვენისა ღვთისმშობელისათა, შეგინდოთ შეცოდებანი თქვენნი ნებსითნი და უნებლიეთნი: აღმოფხვრას ჩვენგან განკითხვის სული, შური, მტრობა და ღვარძლი, ყოველი ბოროტი საქმე... და მოგვმადლოს გული გონიერი, გული წმინდა და სული წრფელი, რათა უფალმან ღირს გვყოს, დაემკვიდროს ჩვენთანა და ჭეშმარიტების გზით წარმართოს ცხოვრება ჩვენი.

ყოვლადწმინდა სამებამ მოგვანიჭოს მშვიდობა, მარხვა სინანულისა და აღდგომის სიხარულისა, ამინ!

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

02.03.2025

sazu.ge